# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 363 | კვირა, 20 ნოემბერი 1905 წ. | გაზეთის № 3955.

საქართველოს რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИ

*
* *

შეწყდა სიცოცხლე... დასუსტდა მაჯა,
გული სევდებით მარად ივსება,
სად არის მსჯავრი, როცა ქუჩაში
მართალი სისხლი ზღვასებრ ილვრება?

—

ქვეყნის სიმშვიდე, ქვეყნის დიდება
ძალ-მომრეობას გაუქელია,
თვის მოქმედებას წყვდიადით ჰფარავს,
სირცხვილით ვერსად გაუმხელია.

—

მაგრამ რას ვამბობ... ჯერ ბრძოლის ველზე
არ დაგვიხრია ხომ ქედი დაბლა,
რა არის შიში? შეკრთეს ლაჩარი!...
რა არის ჩვენთვის ბრძოლა ან დაღლა?

—

ცხოვრებას მიზნათ ეს დაუსახავს,—
ადამიანიც მისთვის შობილა,
—შავ-ბედს ებრძოლოს, უმისოთ კაცი
ამ ქვეყნად ვითომც არა ყოფილა.

—

მე ეს მარად მწამს, შვება მოჰყვება
ამ გამწვავებულს სიმართლის ბრძოლას
და ჩვენს წინაშე თვით კლდეც ძლიერი
შეშინებული დაიწყებს ძრწოლას.

სოლ. გ—ძე

### შემოკრბით ძმებო!

(ვუძღვნი ბიუროკრატიას)

შემოკრბით, ძმებო, და ჩემთან ერთად
იტირეთ, მოსთქვით თქვენც გლოვის ზარი,
ბიძა, რა ბიძა მე გამიგიჟდა
და აერია სუმთლად დავთარი!

—

სიცხეშია, თუ ისე აბოდებს,
რა მოგახსენოთ, ასე კი არი,
მხოლოდ აქიმი ამბობს, რომ მართლაც
ბიძამ დაკარგა ტვინის დავთარი!

—

გუშინ რაღაცა სიტყვა წამოსცდა,
მითხრა: „ძმის წულო, სულ შენი არი,
რაც მაბადია, რაც გამაჩნია,
ამიერიდან ღია გაქვს კარი!“

—

„მე ყოველთვისინ შენთვის ვზრუნავდი,
შენ იყავ ჩემი მხოლოდ ნუგეში,
შენზე ვფიქრობდი, შენთვის ვწვალობდი,
მხოლოდ შენ მყავნდი ამ ჩემს უბეში“.

—

მე გამიხარდა, ვსთქვი: ჩემს ბიძიას,
არაუშავს-რა, კარგი აქვს აზრი,
მაგრამ, ვაი, დღეს სულ აურია
უკან წაიღო თვისი ნასაზრი!

—



ტალღა.—სურათი ბრუნოვისა.



შურისძიება.—ქანდაკება ვან-ჰოვეის.

მე კი მე... როგორ ვმხიარულობდი,
ბიძის ანდერძი გავაკარ გზაზე,
ნათესავები და ნაცნობები
შევკრიბე სახლში ამ ჩემს ამბავზე!

—

დავხარჯე ფლავი, ქადა, ნაზუქი,
დავლიეთ ღვინო, ღვინო კახური.
სცემდნენ ბუქნასა, ავყე ცეკვასა
მეც თქვენი მონა, თქვენი მსახური!

—

ვაიმე ფლავო, ვაიმე ქადავ,
ვაი, ტიკჭორავ, ღვინოვ კახურო,
და ვაი შენს თავს შენს თამაშ-ბუქნას,
ბიძის ძმისწულო, ბიძის მსახურო!

—

ერთხელ და ისიც დიდის ანდერძით
გახარებულმა ჩავკარი ბუქნა,
სწყენია ბიძას, ახლა არ ვიცი,
რა მოვაგვარო, საქმეს რა უქნა!

—

თურმე ფანჯრიდან ის მიყურებდა,
მუშტს მიღერებდა, მემუქრებოდა,
თვისი ძმისწულის დღესასწაულზე
ცოფებსა ჰყრიდა, გულზე სქდებოდა!

—

და აი ახლა, მივიღე მისგან
წერილი ლაქით მე დაბეჭდილი,
მწერს: „ვხედავდიო, რომ გიხაროდა
„საყვარელისა ბიძის სიკვდილი!

—

„გიბრძანებ ეხლავ, რომ გამოცხადდე,
„მომცე პასუხი, მიამბო ყველა,
„ისიც კი მითხრა, იმ თქვენს ნადიმზე
„ვის სჭირდა სურდო, ვინ ჩაახველა!.“

—

როგორც თქვენც ხედავთ, აღარ მენდობა,
სჩანსა აღარ ახსოვს თვისი ანდერძი
და მართალია, რომ ერთიანად
გადუტრიალდა მას ტვინის ღერძი!

—

შემოკრბით, ბმებო და ჩემთან ერთად,
იტირეთ, მოსთქვით თქვენც გლოვის ზარი,
ბიძა, რა ბიძა მე გამიგიჟდა,
მთლად არევია ტვინის დავთარი!

**ი. ევდოშვილი**

# პირველი სისხლი

**მოთხრობა**

(დასასრული*)

## III

ბულბულმა ჩაჰყო ნისკარტი ვარდის გულში, ამოსრუტა შიგ ჩარჩენილი დილის ცვარი, ყელი ჩაისველა და მოჰყვა:

— დიდი ხანია ადამიანის არა წმინდა სულმა მიჰსჯაჭვა თავისუფლება იალბუზის ქედზე და რკინის არტახები გადაუჭირა. მას აქეთ იღვრება უწყალოდ სისხლი თავისუფლების გამოსახსნელად: დაღვრილმა სისხლმა მიწა მთლად გაჟღინთა, მაგრამ ხალხი მაინც არა ცხრებოდა, იარა გულს არ უმთელდებოდა. ყველა იბრძოდა თავისუფლებისათვისა, ქართველის მეტი. ქართველი ერი თითქო გადაეჩვია თავისუფლების ძებნასა. ის მონობის უღელმა წელში გასტეხა, მოჰკაკვა, უფსკრულს მიაყენა. ის-ის იყო იღუპებოდა, მაგრამ შესდგა იგი უფსკრულის წინაშე, მიტრიალდა და ხმა აიმაღლა, თვალები მოიფშვნიტა და იჭექა: „ან სიკვდილი, ან სიცოცხლეო.“ გაისმა ხალხის ზრიალი. ხალხმა ზღვასავით იწყო ფთოვნა, მოჰყვა ქარიშხალი და ღელვამ ზვირთი კიდედამ კიდემდე ისროლა. ზღვის ღრიალი ყველგან მისწვდა. მაგრამ არც მტარვალს ეძინა. თავისუფლების მეძიებელთ მიუსია ბუზანკალი. გაჩაღდა გახელებული ბრძოლა. მონობის უღელი მძიმეა: ხალხი თითქო შედრკა, გულს სურს მონობის ჯაჭვის დამსხვრევა, გონება ხელს უმართავს, მაგრამ სულის ძალა არ შესწევს, სულს ნიატი გამოჰლევია. ხალხმა ცხვრის ფარასავით ერთს ალაგს შექმნა ფეხის ბაკუნი, იწყო ყოყმანი, შეტბორდა ზღვასავით.

ამ დროს ანაზდეულად გამოარღვია შეტბორებული ზღვა ერთმა ჭაბუკმა. სახე ახლად ამწვანებულ მდელოსავით ჰქონდა შემოსილი. მშვენიერი იყო ის ჭაბუკი, მკვირცხლი, წერწეტი არავის ხმას არ სცემდა, მოიწევდა წინ გამაღლებული, ხელებით არღვევდა ხალხის ტბორეს; გასცილდა ტბორეს, ანაზდეულად მოტრიალდა ხალხისკენ, გააფრიალა ამის წინ წითელი დროშა, რომელსაც ამშვენებდა წარწერა: „ბრძოლა თავისუფლებისათვის“. თითქო ზარი ჩამოჰკრესო, ისე გაისმა ჭაბუკის წკრიალა ხმა მიდამოში. ხალხმა ერთად, როგორც ერთმა კაცმა, ქუდები მოიხადა, წაჰხარა წელი და სმენად გადაიცა.

„ხალხნო!—დაიწყო ხმის კანკალით და თროლით ჭაბუკმა,—ქედწახრილი სიცოცხლე სიკვდილია; ნუთუ გგონიათ,

*) იხ. დამატება № 362.

რომ ჩვენ ცოცხალნი ვართ? არა, ჩვენ მკვდრები ვარ ი, ნამდვილი მკვდრები; ზურგზედ გვაზიან ათასობით ყვავ-ყორანი და გვწიწკნიან, ვერა ვგრძნობთ, მაშ მკვდრები ვართ, მა რა ვართ? ასე გამუდმებულ ტანჯვას ერთხელ სიკვდილი სჯობია. მუდამ სისხლის მსხვერპლი ყოფილა მხნელი კაცისა, ადამიანის დანთხეულს სისხლის დაუხსნია თავისუფლება მტარვალთა ხელიდან. სისხლს თხოულობს დღეს ჩვენგანაც თავისუფლება. აი აგერ თავისუფლებას რკინის ხელებით ჩაჰფრენია მტარვალი, თავისუფლება იწევს ჩვენსკენ, ხელები გამოუშვერია ჩვენსკენ, ჩვენ კი ვყოყმანობთ, არ გვინდა დავიხსნათ და გავამეფოთ ჩვენში. ამისათვის თავის შეწირვაა საჭირო. ჩვენ ეს თვით იესო მაცხოვარმა გვასწავლა. იმან თავისუფლებისათვის ჯვარზე დაანთხია სისხლი. დედა, იმის საყვარელი დედა მარიამი, სისხლის ცრემლით შესცქეროდა თვის პირმშო ძესა. იესომ საყვარელი დედა დასთმო, სავას ჩააბარა მტირალი და შეწუხებული დედა, იმის წინაშე ჯვარზე სისხლი დაღვარა და მით გვასწავა წამება თავისუფლებისათვის. ძმანო! მსხვერპლს თხოულობს თავისუფლება! დავიჩოქოთ, ხალხნო, ამ წითელ დროშის წინაშე. გავიფიცნეთ, შევერთდეთ, ერთობას ნუ ვუღალატებთ და თავისუფლებას ვიშოვნით.“

ხალხმა დაიჩოქა, პირს ჯვარი გამოისახა და დაიფიცა.

ჭაბუკი მკვირცხლად წამოხტა, ფრიალ-ფრიალით გააქანა წითელი დროშა წინ და გაიყოლია ხალხი. ერთ დღეს მედგარი იერიში მიიტანა მტრის გუნდზე. იგრიალა თოფმა, ჭაბუკმა წაიჩოქა, მაგრამ მაინც წამოხტა, მოზიდა ხელით ერთი მტრის მხედართაგანი და დაშნით გაუგმირა გული. მაგრამ მეორემ ხიშტი უგმირა გვერდში, სისხლმა ითქრიალა, ჭაბუკი მთლად შეიღება სისხლით; დროშა კი მაგრა ჩაიკრა გულში და განუტევა სული. ამის მნახველი მეც აღვფრთოვანდი და აი მას აქეთ ახალს საგალობელს ვუგალობ თავისუფლებასა, რომელიც ზეცით ქვეყნად ჩამოიყვანა ჭაბუკმა და გაამეფა ჩვენში.

— უჰ, გენაცვალეთ!.. ჩვენც ძლივს გვეღირსება თავისუფლად ამოსუნთქვა. არც ჩვენ, ყვავილებს, გვაქვს მოსვენება და ძილი. ამოვყოფთ თუ არა თავსა, იქვე გვაჭკნობენ და გვსპობენ,—დაიჩივლა იამ.

— მა რა ოხრობაა! მოვა ვიღაც წუწკი,—დაიწყო ვარდმა,—გააგდებს ჩემს სატრფოს - ბულბულსა და თვით ჩაჰყოფს ჩემს წმინდა და სუნნელოვანს გულში თავის უწმინდურს ცხვირსა, მთლად მოშხამულს და მიწუხებს გულსა.

## IV

ბან - ჩანგრეულ დარბაზის პატრონი დედა ქეთევანი ერთს დილას დერეფანთან იდგა კაბა აკარწახებული და ახლად გამოჩეკილს ქულა წიწილებს თბილ წყალში აფშრუკულს სიმინდის ცომს უფშხვნიდა ქილობზე. ის იმ დღეს მარტოდ მარტო იყო სახლში. სამი ვაჟი შვილი: ერთმანერთზე მიმდევნოები, აქეთ-იქით იყვნენ წასულნი სამუშაოდ, ხოლო უფროსი, ასე თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლისა, აგერ ერთი თვე იყო ხალხს დასდევდა და სულ განაბული უგდებდა ყურს იმის ლაპარაკსა და მისწრაფებას. დედა ქეთევანი ერთი შესდგა, ძუძუებზე ორთავე ხალი მაგრა მოისვა, და წარმოსთქვა!

— ღვთის მშობელო დედაო! შენ შემიწყალე! რაღაც უცნაურს ამბავს გავიგებ: ძუძუებმა მაწოვარი დედაკაცივით წამოყარეს.

ეს სწორედ იმ დროს მოხდა, როდესაც მისი უფროსი შვილი დავით ხალხს წითელი დროშით გაუძღვა და პირველმა პირველი სისხლი დაღვარა თავისუფლებისათვის.

ხალხმა დაიჩოქა სისხლში მოსვრილ ჭაბუკის წინაშე და სასოებით გადასწერა ყველამ პირჯვარი. ჭაბუკის მიერ დაღვრილ სისხლისაგან ყველამ პერანგზე ჯვარი გამოისახა, ყველა ეზიარა იმის სისხლით და მედგრად შეუდგა ჭაბუკი კვალს.

სად იყო და სად არა, გაჩნდა დედა ქეთევანიც, ჰხედავს, მისს ძეს ხალხი მუხლ მოდრეკით თაყვანს სცემს. ქეთევანს უხვად მოსდიოდა ცრემლი, უსიტყვოდ იდგა დიად სანახაობის წინაშე, სახე გაბრწყინვებოდა. იმის გულში იბრძოდა ორი გრძნობა—მწუხარებისა და სიხარულისა. ცრემლი ნიშანი იყო მწუხარებისა, გაბრწყინვებული სახე—სიხარულისა.

დედა ქეთევანმა ნუგეში იცა, მწვავე ცეცხლი შვილის დაკარგვისა ჩააქრო მადლიერ ხალხის დანახვამ. იგრძნო დიადი მნიშვნელობა თავის შვილის თავგანწირვისა და გულუბრყვილოდ, მაგრამ მტკიცე ხმით წარმოსთქვა:

— შვილო, დავით! ალალი ძუძუ მიწოვებია! უკანასკნელად დღეს დილით დედა-შენის ძუძუებმა მოგიკითხეს.

დედა ქეთევანმა ამოიყარა ძუძუები, მუხლი მოიდრიკა შვილის წინაშე და სისხლიან მკერდს დაეკონა.

ია ამ ამბავს დღესასწაულობდა იმ ერთს მაისის დილას მზე და მთელად მთელი ბუნება.

დედა ქეთევანმა და სოფელმა საუცხოვოდ შეამკეს საფლავი ჭაბუკის დავითისა, რომელსაც საუკუნო აკვნად გაუხდა ის ადგილი, სადაც სისხლი დაღვარა თავისუფლებისათვის: მადლიერმა ხალხმა საუკუნო ძეგლი აუგო თვის საკუთარს გულში. ვარდის ბუჩქებზე, რომელიც გარშემორტყმული აქვს



მონა „გ:რონზგვის“ შემდეგ.—ქანდაკება ვან-ჰოვისა.

ჭაბუკის საფლავს, მჯდარი ბულბული მუდამ უგალობს თავისუფლების ჰიმნსა: დედა ქეთევანი ჩუმის ტირილით ნანას ჩა-

სძახის აკვანში; ია—ვარდნი, გარემოს მისს საფლავისა ალმოცენებულნი, საკმეველს უმზადებენ; მოლაღური კი ცაცხვზე ჩამოკიდებულ საცეცხლურში ია—ვარდისაგან შემზადებულს საკმეველს მუდამ დღე აკმევს.

იმ სოფლის მასწავლებელს გამოჰყავს პატარა მოსწავლენი ქაბუკ დავითის საფლავთან და ასწავლის თვალსაჩინო მაგალითით თავისუფლებისთვის ბრძოლას.

ს. მგალობლიშვილი




— საკვირველია, რაღა უნდათ კიდევ!?




რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა.—ტელეფონი № 872.